დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ პაატა ყულიაშვილს

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა)

<u>პ ე ტ ი ც ი ა</u>

<u>(დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ)</u>

პეტიციის წარმდგენი (მომხსენებელი):

<u>რუსლან ომაროვი</u>
მცხოვრები: დმანისი ს. სათარლო

საკოსტაევის ტელეფონი [illegible]
ელ.ფოსტა: omarovruslan1905@gmail.com

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან უფასო კვებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაიში მცხოვრებ ბავშვებს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდებათ.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო (ბოლო) აღწერით, ირგანჩაიში 2000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. უახლოესი საბავშვო ბაღი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დმანისშია. ირგანჩაიდან დმანისამდე 30 კილომეტრია (ორივე გზა 60 კილომეტრი), რაც გამორიცხავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტირების შესაძლებლობას. ირგანჩაიში ამ დროისთვის სკოლამდელი ასაკის 100-ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს.

ოფიციალური მონაცემებით, დმანისის მუნიციპალიტეტის 57 სოფლიდან საბავშვო ბაღი მხოლოდ შვიდშია. რაიონში მოსახლეობის 65 % ეთნიკური აზერბაიჯანელია. საბავშვო ბაღი უმცირესობით დასახლებულ არცერთ სოფელში არ არის.

არსებული უთანასწორო და კრიტიკულად მძიმე მდგომარეობა მიუთითებს, დმანისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური ნიშნით, ასევე, საცხოვრებელი ადგილისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით, ირგანჩაისა და უმცირესობებით დასახლებულ სხვა სოფლებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაძლო დისკრიმინაციაზე.

სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური, ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა და პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ქცევითი პრობლემების რისკს ამცირებს, მშობელთა დასაქმებას უწყობს ხელს. სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა მისი სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებაა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ, 2022 წლის აგვისტოში საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხად სასმელი წყლით მომარაგებასთან და გზებთან ერთად, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობაა დასახელებული.

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5 %-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე, 95 %-ზე ოთხჯერ ნაკლებია.

ჩვენ, წინამდებარე პეტიციაზე ხელმომწერ პირებს მიგვაჩნია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნით, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ირგანჩაიში მცხოვრები ბავშვები შეძლებენ **საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზებას.**

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ:

დაარეგისტრიროთ წინამდებარე პეტიცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოთ მასში დაყენებული საკითხის (დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ) განხილვა-გადაწყვეტა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის შესაბამისად.

<u>დანართი:</u>

1. პეტიციის წარმდგენი პირის - რუსლან ომაროვის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);
2. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების (სულ 261 პირის) სია;

რუსლან ომაროვი ----------

21.11.2022